<u>პროექტი</u>

**საქართველოს მთავრობის**

**დადგენილება №**

**2025 წლის --- ქ. თბილისი**

**„ტექნიკური რეგლამენტის – ვიტამინების, მინერალების და ზოგიერთი სხვა ნივთიერების სურსათში დამატების შესახებ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 ნოემბრის N508 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

**მუხლი 1.** „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ტექნიკური რეგლამენტი – ვიტამინების, მინერალების და ზოგიერთი სხვა ნივთიერების სურსათში დამატების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 ნოემბრის №508 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 18/11/2016, 300160070.10.003.019574) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტის – ვიტამინების, მინერალების და ზოგიერთი სხვა ნივთიერების სურსათში დამატების შესახებ“

**1. დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნები ვრცელდება ყველა კატეგორიის სურსათზე, მათ შორის:

ა) განსაკუთრებული კვებითი დანიშნულების სურსათსა (რომლისთვისაც არ არის დადგენილი სპეციალური ნორმები) და მის შემადგენლობაზე, რომელიც განპირობებულია იმ მომხმარებელთა კვებითი მოთხოვნების თავისებურებებით, ვისთვისაც განკუთვნილია ეს სურსათი;

ბ) ახალი სახეობის სურსათსა და ახალი სახეობის სასურსათო ინგრედიენტებზე;

გ) გენეტიკურად მოდიფიცირებულ სურსათზე;

დ) საკვებდანამატებსა და არომატიზატორებზე;

ე) ავტორიზებულ (დაშვებულ) ენოლოგიურ პრაქტიკასა და პროცესებზე“.

**2. დადგენილების დანართი N2-ის „ვიტამინების ფორმები და მინერალური ნივთიერებები, რომლებიც შესაძლებელია დამატებულ იქნეს სურსათში“ შეტანილი იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

*დანართი №2*

## ვიტამინების ფორმები და მინერალური ნივთიერებები, რომლებიც შესაძლებელია დამატებულ იქნეს სურსათში

| დასახელება | ქიმიური ფორმები |
|---|---|
| **1. ვიტამინები** | |
| ვიტამინი A | რეთინოლი<br>რეთინოლაცეტატი<br>რეთინოლპალმიტატი<br>ბეტა-კაროტინი |
| ვიტამინი D | ქოლეკალციფეროლი ($D_3$)<br>ერგოკალციფეროლი ($D_2$) |
| ვიტამინი E | D-ალფა-ტოკოფეროლი<br>DL-ალფა-ტოკოფეროლი<br>D-ალფა-ტოკოფეროლის აცეტატი<br>DL-ალფა-ტოკოფეროლის აცეტატი<br>D-ალფა-ტოკოფეროლის მჟავის სუქცინატი |
| ვიტამინი K | ფილოქინონი (ფიტომენადიონი ) – (ვიტამინი $K_1$ )<br>მენაქინონი* – (ვიტამინი $K_2$ ) |
| ვიტამინი $B_1$ | თიამინის ჰიდროქლორიდი<br>თიამინის მონონიტრატი |
| ვიტამინი $B_2$ | რიბოფლავინი<br>ნატრიუმის რიბოფლავინ 5’ – ფოსფატი |
| ნიაცინი (ვიტამინი PP) | ნიკოტინის მჟავა<br>ნიკოტინამიდი<br>ნიკოტინმჟავის რიბოზიდის ქლორიდი |
| პანთოთენის მჟავა | კალციუმის D-პანთოთენატი<br>ნატრიუმის D-პანთოთენატი<br>დექსპანთენოლი |
| ვიტამინი $B_6$ | პირიდოქსინის ჰიდროქლორიდი<br>პირიდოქსინის 5’ – ფოსფატი<br>პირიდოქსინის დიპალმიტატი |
| ფოლის (ფოლიუმის) მჟავა | ფტეროილმონოგლუტამინის მჟავა<br>კალციუმ -L-მეთილფოლატი |
| ვიტამინი $B_{12}$ | ციანოკობალამინი<br>ჰიდროქსოკობალამინი |
| ბიოტინი | D-ბიოტინი |

| | |
|---|---|
| ვიტამინი C | L – ასკორბინის მჟავა<br>ნატრიუმის L – ასკორბატი<br>კალციუმის L – ასკორბატი<br>კალიუმის L – ასკორბატი<br>L –ასკორბილ 6-პალმიტატი (ასკორბილპალმიტატი) |
| **2. მინერალური ნივთიერებები** | |
| კალციუმი` | კალციუმის კარბონატი<br>კალციუმის ქლორიდი<br>კალციუმის ციტრატ-მალატი (ვაშლისმჟავა კალციუმის ციტრატი)<br>ლიმონმჟავა კალციუმის მარილები<br>კალციუმის გლუკონატი<br>კალციუმის გლიცეროფოსფატი<br>კალციუმის ლაქტატი<br>ორთოფოსფორმჟავას კალციუმის მარილები<br>კალციუმის ჰიდროქსიდი<br>კალციუმის მალატი (ვაშლისმჟავა კალციუმი)<br>კალციუმის ოქსიდი<br>კალციუმის სულფატი<br>კალციუმის ფოსფორილირებული ოლიგოსაქარიდები (POs-Ca) |
| მაგნიუმი | მაგნიუმის აცეტატი<br>მაგნიუმის კარბონატი<br>მაგნიუმის ქლორიდი<br>ლიმონმჟავა მაგნიუმის მარილები (მაგნიუმის ციტრატები)<br>მაგნიუმის გლუკონატი<br>მაგნიუმის გლიცეროფოსფატი<br>ორთოფოსფორმჟავას მაგნიუმის მარილები<br>მაგნიუმის ლაქტატი<br>მაგნიუმის ჰიდროქსიდი<br>მაგნიუმის ოქსიდი<br>მაგნიუმ-კალციუმის ციტრატი<br>მაგნიუმის სულფატი |
| რკინა | რკინის (II) ბისგლიცინატი<br>რკინის (II) კარბონატი<br>რკინის (II) ციტრატი<br>რკინა-ამონიუმის ციტრატი<br>რკინის (II) გლუკონატი<br>რკინის (II) ფუმარატი<br>რკინა-ნატრიუმის დიფოსფატი<br>რკინის (II) ლაქტატი<br>რკინის (II) სულფატი<br>რკინა(II)-ამონიუმის ფოსფატი |

| | |
|---|---|
| | რკინა (II) -ნატრიუმის ეთილენდიამინტეტრაძმარმჟავა (EDTA)<br>რკინის დიფოსფატი (რკინის პიროფოსფატი)<br>რკინის საქარატი<br>ელემენტარული<br>რკინა (კარბონილი+ელექტროლიტი+რედუცირებული წყალბადი)<br>რკინით გამდიდრებული რძის კაზეინატი |
| სპილენძი | სპილენძის კარბონატი<br>სპილენძის ციტრატი<br>სპილენძის გლუკონატი<br>სპილენძის სულფატი<br>სპილენძ-ლიზინის კომპლექსი |
| იოდი | ნატრიუმის იოდიდი<br>ნატრიუმის იოდატი<br>კალიუმის იოდიდი<br>კალიუმის იოდატი |
| თუთია | თუთიის აცეტატი<br>თუთიის ბისგლიცინატი<br>თუთიის ქლორიდი<br>თუთიის ციტრატი<br>თუთიის გლუკონატი<br>თუთიის ლაქტატი<br>თუთიის ოქსიდი<br>თუთიის კარბონატი<br>თუთიის სულფატი |
| მანგანუმი | მანგანუმის კარბონატი<br>მანგანუმის ქლორიდი<br>მანგანუმის ციტრატი<br>მანგანუმის გლუკონატი<br>მანგანუმის გლიცეროფოსფატი<br>მანგანუმის სულფატი |
| ნატრიუმი | ნატრიუმის ბიკარბონატი<br>ნატრიუმის კარბონატი<br>ნატრიუმის ციტრატი<br>ნატრიუმის გლუკონატი<br>ნატრიუმის ლაქტატი<br>ნატრიუმის ჰიდროქსიდი<br>ორთოფოსფორმჟავა ნატრიუმის მარილი<br>ნატრიუმის სელენატი<br>ნატრიუმის სელენიტი<br>ნატრიუმის ერთჩანაცვლებული სელენიტი<br>ნატრიუმის ფტორიდი |

| | |
|---|---|
| | ნატრიუმის სელენიტით (სელენით) გამდიდრებული საფუარი** |
| კალიუმი | კალიუმის ფტორიდი<br>კალიუმის ბიკარბონატი<br>კალიუმის კარბონატი<br>კალიუმის ქლორიდი<br>კალიუმის ციტრატი<br>კალიუმის გლუკონატი<br>კალიუმის გლიცეროფოსფატი<br>კალიუმის ლაქტატი<br>კალიუმის ჰიდროქსიდი<br>ორთოფოსფორმჟავას კალიუმის მარილი |
| ქრომის მარილები | ქრომის (III) ქლორიდი და მისი ჰექსაჰიდრატი<br>ქრომის (III) სულფატი და მისი ჰექსაჰიდრატი<br>ქრომის პიკოლიტანი<br>ქრომის (III) სამჩანაცვლებული ლაქტატი |
| მოლიბდენი | ამონიუმის მოლიბდატი (მოლიბდენ (VI))<br>ნატრიუმის მოლიბდატი (მოლიბდენ (VI) |
| ბორის მარილები | ბორის მჟავა<br>ნატრიუმის ბორატი |

**3. დადგენილების დანართი N3-ის „ნივთიერებები, რომელთა გამოყენება სურსათში აკრძალულია, შეზღუდულია ან ექვემდებარება გამოკვლევას“ ნაწილი „ბ“ „შეზღუდული ნივთიერებები“ წარმოდგენილი იქნეს შემდეგი რედაქციით:**

***„დანართი N3***

**ნივთიერებები, რომელთა გამოყენება სურსათში აკრძალულია, შეზღუდულია ან ექვემდებარება გამოკვლევას**

**ნაწილი „ბ“** - შეზღუდული ნივთიერებები

| **შეზღუდული ნივთიერებები** | **გამოყენების პირობები** | **დამატებითი მოთხოვნები** |
|---|---|---|
| **მონაკოლინები - მიღებული ბრინჯის წითელი საფუვრით ფერმენტაციით** | პროდუქტის ყოველდღიური მოხმარების ინდივიდუალური ულუფა (პორცია) უნდა შეიცავდეს 3-მგ-ზე ნაკლებ ბრინჯის წითელი საფუვრით (ფერმენტაციით) მიღებულ მონაკოლინებს | ეტიკეტზე მითითებული უნდა იქნეს პროდუქტის სადღეღამისო მოხმარების ინდივიდუალური ულუფების (პორციების) მაქსიმალური რაოდენობა, ასევე გაფრთხილება, რომ დაუშვებელია დღე-ღამეში 3 მგ ან 3 მგ-ზე მეტი ბრინჯის წითელი საფუვრით |

| | | |
|---|---|---|
| | | (ფერმენტაციით) მიღებული მონაკოლინების მოხმარება.<br><br>ეტიკეტი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ერთ ულუფაში (პორციაში) მონაკოლინების რაოდენობის შესახებ.<br><br>ეტიკეტი უნდა მოიცავდეს გაფრთხილებებს:<br><br>„არ უნდა მიირთვან ორსულმა ან მეძუძურმა ქალებმა, 18 წლამდე ასაკის ბავშვებმა და 70 წელზე უფროსი ასაკის პირებმა“<br><br>„ჯანმრთელობის რაიმე პრობლემის შემთხვევაში, ამ პროდუქტის მოხმარებამდე მიმართეთ ექიმს“;<br><br>„არ უნდა მიირთვათ, თუ იღებთ ქოლესტერინის დამწევ მედიკამენტებს“;<br><br>„არ უნდა მიირთვათ, თუ უკვე მოიხმართ წითელი საფუვრით ფერმენტირებული ბრინჯის შემცველ სხვა პროდუქტებს“. |
| **მწვანე ჩაის ექსტრაქტები, რომლებიც შეიცავს (-) - ეპიგალოკატექინ - 3 - გალატს** | პროდუქტის ყოველდღიური მოხმარების ინდივიდუალური ულუფა (პორცია) უნდა შეიცავდეს 800 მგ-ზე ნაკლებ (-) - ეპიგალოკატექინ - 3 - გალატს | ეტიკეტზე მითითებული უნდა იქნეს პროდუქტის სადღეღამისო მოხმარების ინდივიდუალური ულუფების (პორციების) მაქსიმალური რაოდენობა ასევე გაფრთხილება, რომ დაუშვებელია დღე-ღამეში 800 მგ ან 800 მგ-ზე მეტი (-) - ეპიგალოკატექინ - 3 -გალატის მოხმარება.<br><br>ეტიკეტი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ერთ ულუფაში (პორციაში) (-) - ეპიგალოკატექინ - 3 - გალატის რაოდენობის შესახებ.<br><br>ეტიკეტი უნდა მოიცავდეს გაფრთხილებებს: |

| | | |
|---|---|---|
| | | „არ  მიირთვათ, თუ, იმავე დღეს ერთდროულად მოიხმართ მწვანე ჩაის შემცველ სხვა პროდუქტებსაც“.<br><br>„არ უნდა მიირთვან ორსულმა ან მეძუძურმა ქალებმა, 18 წლამდე ასაკის ბავშვებმა“<br><br>„არ მიირთვათ უზმოზე“ |
| **ტრანსცხიმი**<br><br>ტრანსცხიმი, გარდა  ცხოველური წარმოშობის ცხიმებში ბუნებრივად არსებული ტრანსცხიმებისა | არაუმეტეს 2 გრამი ყოველ 100 გრამ ცხიმზე სურსათში, რომელიც განკუთვნილია საბოლოო მომხმარებილისათვის და საცალო ვაჭრობაში განთავსებისთვის | ბიზნესოპერატორებმა, რომლებიც ამარაგებენ  სხვა ბიზნესოპერატორებს სურსათით, რომელიც არ არის განკუთვნილი საბოლოო მომხმარებლის ან საცალო ვაჭრობისათვის, უნდა უზრუნველყონ  ინფორმაციის მიწოდება  ბიზნესოპერატორებისათვის ტრანსცხიმების შესახებ,  რომელთა რაოდენობა 100 გ ცხიმში აღემატება  2 გრამს, გარდა  ცხოველური წარმოშობის ცხიმებში ბუნებრივად არსებული ტრანსცხიმებისა.<br><br>დაუშვებელია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ჩვილ ბავშვთა და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა კვებისათვის განკუთვნილი სურსათი შეიცავდეს ტრანსცხიმს. |

**4. დადგენილების დანართი N3-ის „ნივთიერებები, რომელთა გამოყენება სურსათში აკრძალულია, შეზღუდულია ან ექვემდებარება გამოკვლევას“  ნაწილი „გ“- „ნივთიერებები, რომლებიც ექვემდებარება გამოკვლევა“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით“**

„**ნაწილი „გ“** – ნივთიერებები, რომლებიც ექვემდებარება გამოკვლევას:

„კასია სენას (*Cassia senna* L.) ფოთლის ან ნაყოფის პრეპარატები, რომლებიც შეიცავენ ჰიდროქსიანთრაცენის წარმოებულებს;

მონაკოლინები  - მიღებული ბრინჯის წითელი საფუვრით ფერმენტაციით;

მწვანე ჩაის ექსტრაქტები, რომლებიც შეიცავს  (-) - ეპიგალოკატექინ - 3 -გალატს;

რამნუს ფრანგულას და რამნუს პურსიანას (*Rhamnus frangula* L., *Rhamnus purshiana* DC). ქერქისგან მიღებული პრეპარატები, რომლებიც შეიცავენ ჰიდროქსიანთრაცენის წარმოებულებს;

რეუმ პალმატუმის, რეუმ ოფიცინალე ბაილონის (*Rheum palmatum* L., *Rheum officinale* Baillon) და მათი ჰიბრიდების ფესვისა და ფესურას პრეპარატები, რომლებიც შეიცავენ ჰიდროქსიანთრაცენის წარმოებულებს“.

## განმარტებითი ბარათი

## „ტექნიკური რეგლამენტის – ვიტამინების, მინერალების და ზოგიერთი სხვა ნივთიერების სურსათში დამატების შესახებ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 ნოემბრის N508 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტზე

## ინფორმაცია პროექტის შესახებ

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს „ტექნიკური რეგლამენტის – ვიტამინების, მინერალების და ზოგიერთი სხვა ნივთიერების სურსათში დამატების შესახებ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 ნოემბრის N508 დადგენილებაში ცვლილების შეტანას.

პროექტის მომზადება განპირობებულია „ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“ ასოცირების შესახებ შეთანხმების და მისი ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ DCFTA შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების ეფექტურად შესრულების უზრუნველსაყოფად. კერძოდ, ევროკავშირის კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები მიზანშეწონილია ეტაპობრივად იქნას ასახული საქართველოს კანონმდებლობაში.

DCFTA შეთანხმების ფარგლებში, „ტექნიკური რეგლამენტის – ვიტამინების, მინერალების და ზოგიერთი სხვა ნივთიერების სურსათში დამატების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 ნოემბრის N508 დადგენილება მომზადდა B REGULATION (EC) No 1925/2006 OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 20 December 2006 on the addition of vitamins and minerals and of certain other substances to foods“ საფუძველზე. აღნიშნული დადგენილების მიღების შემდეგ, რეგულაციაში, ევროკომისიის გადაწყვეტილებით, განხორციელდა ცვლილებები:

1. COMMISSION REGULATION (EU) 2022/860, of 1 June 2022, amending Annex III to Regulation (EC) No 1925/2006 of the European Parliament and of the Council as regards monacolins from red yeast rice

2. COMMISSION REGULATION (EU) 2022/2340 of 30 November 2022, amending Annex III to Regulation (EC) No 1925/2006 of the European Parliament and of the Council as regards green tea extracts containing (-)-epigallocatechin-3-gallate

3. COMMISSION REGULATION (EU) 2023/1065, of 1 June 2023, amending Annex II to Regulation (EC) No 1925/2006 of the European Parliament and of the Council as regards nicotinamide riboside chloride added to foods;

4. COMMISSION REGULATION (EU) 2024/1821, of 25 June 2024, amending Annex II to Regulation (EC) No 1925/2006 of the European Parliament and of the Council and Annex II to Directive 2002/46/EC of the European Parliament and of the Council as regards iron milk caseinate added to foods and used in the manufacture of food supplements,

შესაბამისად, ევროპულ რეგულაციასთან შესაბამისობისათვის, განხორციელდა ცვლილებები **„ტექნიკური რეგლამენტის – ვიტამინების, მინერალების და ზოგიერთი სხვა ნივთიერების სურსათში დამატების შესახებ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 ნოემბრის N508 დადგენილებაში.**

კერძოდ: დაზუსტდა, რომ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნები ვრცელდება ყველა კატეგორიის სურსათზე, მათ შორის: ა) განსაკუთრებული კვებითი დანიშნულების სურსათსა (რომლისთვისაც არ არის დადგენილი სპეციალური ნორმები) და მის შემადგენლობაზე, რომელიც განპირობებულია იმ მომხმარებელთა კვებითი მოთხოვნების თავისებურებებით, ვისთვისაც განკუთვნილია ეს სურსათი; ბ) ახალი სახეობის სურსათსა და ახალი სახეობის სასურსათო ინგრედიენტებზე; გ) გენეტიკურად მოდიფიცირებულ სურსათზე; დ) საკვებდანამატებსა და არომატიზატორებზე; ე) ავტორიზებულ (დაშვებულ) ენოლოგიურ პრაქტიკასა და პროცესებზე“.

დანართი N2-ში, „ვიტამინების ფორმები და მინერალური ნივთიერებები, რომლებიც შესაძლებელია დამატებულ იქნას სურსათში“ დამატებული იქნა **„ნიკოტინმჟავის რიბოზიდის ქლორიდი“** და **„რკინით გამდიდრებული რძის კაზეინატი“.**

ასევე **დანართი №3-ში „** ნივთიერებები, რომელთა გამოყენება სურსათში აკრძალულია, შეზღუდულია ან ექვემდებარება გამოკვლევას“ „ბ“ ნაწილში - „შეზღუდული ნივთიერებები“, დაემატა მონაკოლინები - მიღებული ბრინჯის წითელი საფუვრით ფერმენტაციით, განისაზღვრა მისი გამოყენების პირობები, რომლის

თანახმად, პროდუქტის ყოველდღიური მოხმარების ინდივიდუალური ულუფა (პორცია) უნდა შეიცავდეს 3-მგ-ზე ნაკლებ ბრინჯის წითელი საფუვრით (ფერმენტაციით) მიღებულ მონაკოლინებს, ასევე განისაზღვრა დამატებითი მოთხოვნები, რომლის მიხედვითაც, ეტიკეტზე მითითებული უნდა იქნეს პროდუქტის სადღეღამისო მოხმარების ინდივიდუალური ულუფების (პორციების) მაქსიმალური რაოდენობა, ასევე გაფრთხილება, რომ დაუშვებელია დღე-ღამეში 3 მგ ან 3 მგ-ზე მეტი ბრინჯის წითელი საფუვრით (ფერმენტაციით) მიღებული მონაკოლინების მოხმარება. ასევე ეტიკეტი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ერთ ულუფაში (პორციაში) მონაკოლინების რაოდენობის შესახებ. ამასთანავე, ეტიკეტი უნდა მოიცავდეს გაფრთხილებებს: „არ უნდა მიირთვან ორსულმა ან მეძუძურმა ქალებმა, 18 წლამდე ასაკის ბავშვებმა და 70 წელზე უფროსი ასაკის პირებმა“, „ჯანმრთელობის რაიმე პრობლემის შემთხვევაში, ამ პროდუქტის მოხმარებამდე მიმართეთ ექიმს“; „არ უნდა მიირთვათ, თუ იღებთ ქოლესტერინის დამწევ მედიკამენტებს“; „არ უნდა მიირთვათ, თუ უკვე მოიხმართ წითელი საფუვრით ფერმენტირებული ბრინჯის შემცველ სხვა პროდუქტებს“.

ამავე დანართის ამავე ნაწილში „შეზღუდული ნივთიერებები“. დამატებული იქნა მწვანე ჩაის ექსტრაქტები, რომლებიც შეიცავს (-) - ეპიგალოკატექინ - 3 -გალატს, განისაზღვრა გამოყენების პირობები, კერძოდ: პროდუქტის ყოველდღიური მოხმარების ინდივიდუალური ულუფა (პორცია) უნდა შეიცავდეს 800 მგ-ზე ნაკლებ (-) - ეპიგალოკატექინ - 3 -გალატს და ასევე დამატებითი მოთხოვნები, რომელსაც უნდა შეიცავდეს სურსათის ეტიკეტი, კერძოდ: ეტიკეტზე მითითებული უნდა იქნეს პროდუქტის სადღეღამისო მოხმარების ინდივიდუალური ულუფების (პორციების) მაქსიმალური რაოდენობა ასევე გაფრთხილება, რომ დაუშვებელია დღე-ღამეში 800 მგ ან 800 მგ-ზე მეტი (-) - ეპიგალოკატექინ - 3 -გალატის მოხმარება. ეტიკეტი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ერთ ულუფაში (პორციაში) (-) - ეპიგალოკატექინ - 3 -გალატის რაოდენობის შესახებ. ასევე ეტიკეტი უნდა მოიცავდეს გაფრთხილებებს: „არ მიირთვათ, თუ, იმავე დღეს ერთდროულად მოიხმართ მწვანე ჩაის შემცველ სხვა პროდუქტებსაც“. „არ უნდა მიირთვან ორსულმა ან მეძუძურმა ქალებმა, 18 წლამდე ასაკის ბავშვებმა“, „არ მიირთვათ უზმოზე“

**ინფორმაცია ევროკავშირის სამართლებრივი აქტის შესახებ**

პროექტი მომზადებულია 2006 წლის 20 დეკემბრის ევროკომისიის (EC) No 1925/2006 რეგულაციაში - რომელიც ადგენს მოთხოვნებს იმ ვიტამინებისა და მინერალების დამატების მიმართ, რომელიც სურსათში შესაძლებელია დამატებულ იქნეს ან რომელთა გამოყენება სურსათში აკრძალულია, შეზღუდულია ან ექვემდებარება გამოკვლევას 2017, 2019 და 2021 წლებში განხორციელებილი ცვლილებების მიხედვით.

## ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე სამართლებრივი აქტის ზეგავლენის შეფასება

პროექტი ზეგავლენას არ ახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

## პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

პროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე და არ გამოიწვევს დამატებითი ასიგნებების გამოყოფას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

## პროექტის მოსალოდნელი შედეგები

პროექტის მიღება ხელს შეუწყობს ასოცირების შესახებ ხელშეკრულების მოთხოვნათა შესრულებას და ევროკავშირის კანონმდებლობასთან დინამიურ დაახლოებას.

## პროექტის განხორციელების ვადები

XI-B დანართის მიზნებისთვის, მითითებული ვადა უკავშირდება კანონმდებლობის დამტკიცებას (დაახლოვება), ხოლო მისი ამოქმედების (იმპლემენტაციის) საკითხი დამოკიდებულია ქვეყნის და კერძო სექტორის მზად ყოფნაზე. თავად შეთანხმების XI-A დანართი ახდენს აღნიშნული ტერმინების (დაახლოვება/იმპლემენტაცია) გამიჯვნას ერთმანეთისგან. კერძოდ, აღნიშნული დანართის მიხედვით, ქართულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს დაახლოებული ეროვნული კანონმდებლობის ეფექტიანი იმპლემენტაცია. თუ ჩვენ ჩავთვლით, რომ დაახლოვება გულისხმობს კანონმდებლობის იმპლემენტაციასაც და ის ვადები, რომლებიც მოცემულია XI-B დანართში, უკავშირდება კანონმდებლობის იმპლემენტაციას, გაურკვეველია ამავე შეთანხმების ზემოაღნიშნული ქვეპუნქტის სამართლებრივი დატვირთვა (დაახლოვებული კანონმდებლობის იმპლემენტაცია).

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ასოცირების შეთანხმების საფუძველზე შექმნილი სანიტარიული და ფიტოსანიტარიული SPS ქვეკომიტეტის შეხვედრებზე, რომლის ფარგლებშიც საქართველო ახდენს ევროკომისიისთვის ანგარიშის წარდგენას კანონმდებლობის დაახლოებასთან დაკავშირებით, ყოველთვის ვაწვდით ინფორმაციას იმის თაობაზე თუ როდის მოხდება დაახლოვებული კანონმდებლობის ამოქმედება. უნდა აღინიშნოს, რომ ევროკომისია ადასტურებდა საქართველოს მიერ ვალდებულებების შესრულებას. გარდა ამისა, კანონმდებლობის დაახლოვება SPS

სფეროში იყო ერთ-ერთი საფუძველი საბიუჯეტო დახმარებისთვის, დღემდე ამ კომპონენტის შეუსრულებლობის გამო რაიმე შეფერხება არ ყოფილა.
დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ თავად ევროკავშირის მიერ შესაბამისი სამართლებრივი აქტების დამტკიცების შემდეგ ხდება გარდამავალი პერიოდის დაწესება, რათა კერძო სექტორმა და სახელმწიფო სტრუქტურებმა მოასწრონ მომზადება ახალი მოთხოვნების შესრულებისთვის.

## პროექტის ავტორი და წარმდგენი

პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.